წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2022 წლის 28 თებერვალი

ქ. წალკა

„წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 დეკემბრის №20 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 24/12/2021, 010260020.35.155.016369) დამტკიცებულ „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხის“ სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის ნაწილში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური			
47	პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი)	**1**	2400
48	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური)	**2**	1300
49	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური)	**1**	1200
50	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური)	**1**	1125

„

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 მარტიდან.

წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი გიგინეიშვილი**